სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭოს დებულება

განხილული და დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 2; 24.10.2016 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 13; 14.03.2018 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 22; 09.10.2023 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 2; 23. 02. 2026 წ.

უნივერსიტეტის რექტორი,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: /მალვა ჭკადუა/

თელავი

2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის -" იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის" (შემდგომში - „უნივერსიტეტი") აკადემიური საბჭოს დებულება უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას.

2. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

3.აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

4.აკადემიური საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს,რომელიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, საბჭო წყვეტს დადგენილებით.

5. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია უნივერსიტეტის I კორპუსი (თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1), II სართული.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს მართვის პრინციპები

აკადემიური საბჭო მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;

გ) თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

დ) არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა.

მუხლი3. აკადემიური საბჭოს არჩევა

1.უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

3.უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს 1 წარმომადგენელი.

4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №13 ოქმი);*

6. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს წევრს უწყდება აკადემიური საბჭოს წევრობა.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი ფაკულტეტების მიხედვით.

2. აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტი ირჩევს ერთ წარმომადგენელს. არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე ერთი კანდიდატი. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით. თუ აკადემიური საბჭოს წევრობის ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა უმრავლესობა, არჩევნების დასრულებიდან მესამე სამუშაო დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ინიშნება ახალი არჩევნები.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზები, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.
4. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. აკადემიურ საბჭოში არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის შემდეგ მის უფლებამოსილებას აკადემიური საბჭო ცნობს პირველივე სხდომაზე.

მუხლი 6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრული მიზნების განსახორციელდებლად, აკადემიური საბჭო:
ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს - რექტორს;
ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;
ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ლ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

მ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;

ნ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;

ო) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას. განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს.

პ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჟ) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

რ) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ს) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ტ) რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აცხადებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებს;

უ) იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ და გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

ფ) *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი №22 09.10.2023წ.);*

ქ) *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №13 ოქმი);*

ღ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონით, წესდებით ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ყ) ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გეგმიურ ან არაგეგმიურ მონიტორინგს, მათ შორის: ამტკიცებს მონიტორინგის გრაფიკს; უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ანგარიშები და განმარტებები; აფასებს სამსახურის საქმიანობის შესაბამისობას, ეფექტიანობასა და კანონიერებას; ასევე მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

(დამატებულია აკადემირ საბჭოს სხდომაზე ოქმი №2; 23. 02. 2026 წ.);

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

3. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ.

4.რექტორს აკადემიური საბჭოს წევრობა უწყდება რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს

აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას; აგრეთვე, პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმების შედგენაზე.
2. აკადემიური საბჭოს მდივანს, რექტორის წარდგინებით, 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების წესი

1. აკადემიური საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს წერილობით. საბჭოს წევრები სხდომაზე ცხადდებიან სპეციალური მოწვევის გარეშე. აკადემიური საბჭოს მუშაობის პერიოდში აკადემიური საბჭოს წევრს უფლება აქვს დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც აკადემიური საბჭოს განხილვის საგანია, გამოთქვას თავისი აზრი, დასვას შეკითხვები, ისარგებლოს კანონმდებლობითი და ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.
2. სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, აკადემიური საბჭოს წევრთა მონაწილეობით შექმნას კონკრეტული საკითხების შემსწავლელი კომისიები, სამუშაო ჯგუფები. შესაძლებელია კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეიქმნას აკადემიური საბჭოს მიერ მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების, უნივერსიტეტის თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.
3. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილებების მიღების წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ (რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს).
4. აკადემიური საბჭოს სხდომები შეიძლება იყოს დახურული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომისა), ადგენს სხდომის დღის წესრიგს. დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი.
6. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით ან კენჭისყრის სხვა ფორმით, დამსწრეთა უმრავლესობით.
7. აკადემიური საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს მდივანი. ოქმს თან ერთვის ყველა

ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1.აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ)გარდაცვალება;
ე)კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევა;
ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

2. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს წევრის არჩევა ხდება უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

მუხლი10. აკადემიური საბჭოს სხდომები

1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
2. აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მიერ.
3. რექტორის, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საბჭოს უხუცესი წევრი, რაც განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
4. სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.
5. სხდომა შესვენებების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 4 საათისა. სხდომის მიმდინარეობაშეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით.

მუხლი11. დღის წესრიგი

1. აკადემიური საბჭოს მდივანი, რექტორთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც რექტორს და აკადემიური საბჭოს მდივანს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 12. გადაწყვეტილების მიღება

1. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აკადემიური საბჭოს წევრის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნისას აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იყოს აკადემიური საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.

2.აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

3. აკადემიური საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

მუხლი 13. ხმის მიცემა

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა ჩატარდება ფარულად, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

3. კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

4. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. ბიულეტენების ფორმას ადგენს აკადემიური საბჭო. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.
5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არა სასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით,ხოლო ხმის მიუცემლობა მისი გადახაზვით. ანალოგიური წესის დაცვით ტარდება კენჭისყრა სხვა სახის გადაწყვეტილებების მისაღებადაც.
6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი გათილად ითვლება.

მუხლი 14. ოქმის წარმოება

1. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმს აწარმოებს აკადემიური საბჭოს მდივანი.
2. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე რექტორი და აკადემიური საბჭოს მდივანი.
3. ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:
ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;
ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;
გ) დღის წესრიგი;
დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;
ე) კენჭისყრის შედეგები;
ვ) მიღებული გადაწყვეტილება.
4.განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები დაერთვება ოქმს დანართის სახით.
5. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება უნივერსიტეტის ბეჭედი.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.
2.აკადემიური საბჭოს დებულების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.